

საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში
ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (სსმ. 1999 წ., №41(48)) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. 377-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. ჩამორთმევას დაქვემდებარებული ქონების დამალვა ან განაჩენის (სასამართლო გადაწყვეტილების), გადასახადების იძულებითი წესით ამოღების აღსრულებისათვის სხვაგვარად თავის არიდება, -
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.“.

2. 377¹-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 377¹. სასამართლო აღმასრულებლისათვის, საგადასახადო და საბაჟო ორგანოსათვის ქონებრივი ნუსხის წარუდგენლობა
მოვალის მიერ სასამართლო აღმასრულებლისათვის, საგადასახადო და საბაჟო ორგანოსათვის კანონით გათვალისწინებული ქონებრივი ნუსხის წარუდგენლობა ან არასწორად ანდა არასრულყოფილად წარდგენა,-
ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.“.

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი